ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2560020

ნომერი: AR1396617

თარიღი : 16.04.2016

გაცემის თარიღი : 10.05.2016

გაცნობის თარიღი : 11.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, ფორე მოსულიშვილის N1 (ნაკვეთი 15/87);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი სუმბულაშვილი პ/ნ 01010010896
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 11 ბ. 32

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : რადიოსატელეფონო სადგური

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ–გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი AR1396617 განცხადებით მომართა, შპს „ჯეოსელი“–ს წარმომადგენელმა ირაკლი სუმბულაშვილმა და მოითხოვა, ქ. თბილისში, გლდანში, ფორე მოსულიშვილის ქუჩის #1–ში, სააქციო საზოგადოება „კარტოგრაფია“–ს საკუთრებაში არსებულ #01.11.12.015.087.02.503 უძრავ ქონებაზე, რომელიც წარმოადგენს შენობა–ნაგებობა #2–ს, უნებართვოდ მოწყობილი კომპლექსის ლეგალიზება, „პროექტის შემთანხმებელიდა მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევითაშენებული ობიექტების ან მათი

ნაწილებისლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის#660–ებრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, შემდეგი გარემოების გამო:

განმცხადებელი ირაკლი სუმბულაშვილი განმარტებითი ბარათის ტექსტში უთითებს, რომ „სალეგალიზაციო ნაგებობა მდებარეობს ქ. თბილისში, ფორე მოსულიშვილის ქ N1-ში, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ. იგი განთავსებულია მიწის ნაკვეთი 01.11.12.015.087.02.503-ზე შენობა N2-ის სახურავზე. იგი წარმოადგენს ერთგვარ კომპლექსს რომელიც შედგება არაკაპიტალური (არსებულ სახურავზე დამატებითი დატვირთვის გამოსარიცხად) "სენდვიჩ-პანელოვანი" ჯიხურის, ფართობით 6,00 კვ.მ და მეტალის, მსუბუქი ტიპის კარკასსზე, ტექნოლოგიურად აუცილებელ, დამონტაჟებულ აპარატურისა“ – განმარტებითი ბარათის ტექსტის ზუსტი და სრული ციტირება, სტილი დაცულია უცვლელად.

განმარტებითი ბარათის ტექსტით და ობიექტის ამსახველი ფოტოსურათებით დადასტურებულია, რომ სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტი არის თვითმზიდი დროებითი ნაგებობა, რომელიც შედგენილია მსუბუქი და ანაკრები მასალისაგან და მასზე ვერ გავრცელდება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მოთხოვნები, ვინაიდან ზემოხსენებული ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, „წესის მოქმედება ვრცელდება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტებისა ან მათი ნაწილების მიმართ“ ანუ ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებისათვის ერთ–ერთი მთავარი პირობაა, რომ სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტი ან მისი ნაწილი უნდა წარმოადგენდეს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებულ და 2007 წლის 1 იანვრამდე მშენებლობა დამთავრებულ ობიექტს ან მის ნაწილს და არა თვითმზიდ დროებით ნაგებობას, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია მხოლოდ საკუთარი წონით და არამონოლითური ჩამაგრებით, როგორიცაა სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ჯიხური და რომელიც სრულად შეესაბამება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–3 მუხლის 15–ე პუნქტში ასახულ დროებითი შენობა–ნაგებობის განმარტებას, რომლის თანახმადაც, „დროებითი შენობა და ნაგებობას განეკუთვნება – ანაკრები ელემენტებისაგან შედგენილი, ასაწყობ-დასაშლელი ან/და მობილური სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და არ გააჩნია მიწისქვეშა სათავსოები.“

განმარტებითი ბარათით და ფოტოსურათებით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მსუბუქი და ანაკრების მასალისაგან შედგენილი, დროებითი და გრუნტთან მყარი ჩამაგრების არმქონე ნაგებობასთან ერთად, სალეგალიზაციოდ წარმოდგენილია დამონტაჟებული აპარატურა, რომლის ლეგალიზებასაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესი არ ითვალისწინებს.

„პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვისგამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტებისან მათი ნაწილების ლეგალიზებისშესახებ გადაწყვეტილების მიღებისწესის დამტკიცებისთაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებითდამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველიპუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტისან მისი ნაწილის ლეგალიზებისშესახებ იმ შემთხვევაში, თუიგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისმოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებისშესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა). ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისინაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგებასაქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს“ (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებისშესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, როგორც „ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის საჯაროსამართლის იურიდიულიპირის – ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის30დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის„ა“ პუნქტისთანახმად, ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანისაჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, ვალდებულია ზუსტად და სრულად დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველ ნაწილი, რომლის თანახმადაც, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და აქედან გამომდინარე, საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის, სახელდობრ საქართველოს

კანონმდებლობაში შემავალი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებულიწესის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს „ჯეოსელი“–ს წარმომადგენლის ირაკლი სუმბულაშვილის მიერ მოთხოვნა დაყენებულია ისეთი ობიექტების ლეგალიზებაზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებს, საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ირაკლი სუმბულაშვილის განცხადება და განახორციელოს ლეგალიზება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

___ არ დაკმაყოფილდეს შპს „ჯეოსელი“–ს წარმომადგენლის ირაკლი სუმბულაშვილის AR1396617 განცხადება.
___ უარი ეთქვას შპს „ჯეოსელი“–ს წარმომადგენელს ირაკლი სუმბულაშვილს უნებართვოდ მოწყობილი დროებითი და ანაკრები მასალისაგან შედგენილი, გრუნტთან მყარი ჩამაგრების არმქონე ჯიხურის და დამონტაჟებული აპარატურის ლეგალიზებაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.